სტუდფესტი 2026-ის სპორტული, კულტურული და საგანმანათლებლო/

შემეცნებითი აქტივობები

დებულება

რეგულირების სფერო და ძირითადი პრინციპები

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის (შემდგომ - "სოა") მიერ განსახორციელებელი "სტუდფესტი 2026"-ის (შემდგომ - "ფესტივალი") მიზნებს, ფესტივალის მიმართულებებს, მათ პრინციპებს, განხორციელების მეთოდოლოგიას, მონაწილეთა რეგისტრაციასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ წესებს, მონაწილეთა შეფასებასა და დაჯილდოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს, ქცევის ზოგად წესებსა და სხვა თანმდევ პირობებს.

2. ფესტივალი ჩატარდება კანონიერების, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, თანასწორობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კოლეგიალურობის, კორექტულობის, თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენციის, რაციონალურობის, ანგარიშვალდებულებისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით.

ფესტივალის მიზანი

სტუდფესტის მიზანია, ახალგაზრდებს მიეცეთ შესაძლებლობა, გამოხატონ საკუთარი თავი, გააზიარონ თავიანთი უნარები და ნიჭი, ხოლო, ამავე დროს, აქტიურად შეიტანონ წვლილი პოზიტიურ ცვლილებებში, რომლებიც ემსახურება ახალგაზრდების სრულფასოვან განვითარებას; ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მათი ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობას; ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარებას, სტუდენტებში სპორტული აქტივობების მიმართ ინტერესის გაზრდას, მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას; ახალგაზრდებს შორის კულტურული და შემოქმედებითი იდეების გავრცელებასა და უნარების განვითარების ხელშეწყობას, ინტერაქტიული აქტივობების საშუალებით სტუდენტების პროფესიული და ინტელექტუალური უნარების განვითარება, გუნდის მუშაობის, კრიტიკული აზროვნებისა და ინოვაციური იდეების წარმოსახვის ხელშეწყობა, ერთიანი სივრცის შექმნას, სადაც სტუდენტები შეძლებენ ურთიერთობას, გამოცდილების გაზიარებას და ახალი ცოდნის მიღებას.

1. ფესტივალის უსაფრთხოების ზომები და სამედიცინო უზრუნველყოფა

ყველა მონაწილე ვალდებულია, დაემორჩილოს ფესტივალის უსაფრთხოების წესებს და ორგანიზატორის მითითებებს.

სპორტულ ღონისძიებებზე ორგანიზაციის მხრიდან უზრუნველყოფილი იქნება ექიმის მომსახურება და პირველადი გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ნაკრები.

სპორტული აქტივობებში მონაწილე სტუდენტები ვალდებულნი არიან წარადგინონ სამედიცინო ცნობა, რომელიც ადასტურებს მათ ფიზიკურ მზადყოფნას მონაწილეობისთვის (განისაზღვროს მხოლოდ კონკრეტული სპორტული აქტივობებისთვის).

2. ქცევის კოდექსი და დისციპლინური ზომები

ყველა მონაწილე, ორგანიზატორი, ჟიურის წევრი და გულშემატკივარი ვალდებულია დაიცვას ეთიკის, სამართლიანობის, ობიექტურობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპები.

აგრესიული, დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი ან არაეთიკური ქცევა შეიძლება გახდეს მონაწილეობის შეჩერების ან/და დისკვალიფიკაციის საფუძველი.

დაუშვებელია ფესტივალის ფარგლებში რელიგიური, პოლიტიკური, ეთნიკური, რასობრივი ან/და გენდერული ნიშნის რაიმე სახის ქმედება. აღნიშნული ქმედება შეიძლება გახდეს მონაწილეობის შეჩერების ან/და დისკვალიფიკაციის საფუძველი.

ჟიურის ან ორგანიზატორების გადაწყვეტილებების მიმართ უპატივცემულობამ ან აგრესიამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც ინდივიდუალური სანქციები, ასევე დისკვალიფიკაცია.

ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი.

3. ტექნიკური პირობები და ინვენტარის უზრუნველყოფა

თუ რომელიმე მიმართულების აქტივობა მოითხოვს სპეციალურ აღჭურვილობას (მაგალითად სპორტული აღჭურვილობა, კულტურის მიმართულებით პირადი ინსტრუმენტი და სხვა), მონაწილეები ვალდებულნი არიან თავად უზრუნველყონ მისი მოტანა.

4. დაჯილდოება და პრიზები

თითოეული კონკურსის გამარჯვებულებს გადაეცემათ სიმბოლური თასები და ფულადი ჯილდოები.

შესაძლებელია, ასევე დაწესდეს ინდივიდუალური ნომინაციები.

დაჯილდოების ცერემონია გაიმართება ფესტივალის ფარგლებში. შედეგები გამოქვეყნდება სოციალურ ქსელებში.

5. გასაჩივრების წესი

თუ რომელიმე მონაწილეს ან ანსამბლს აქვს პრეტენზია ჟიურის ან ორგანიზატორის გადაწყვეტილების მიმართ, მას აქვს უფლება, გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

კულტურის და საგანმანათლებლო მიმართულებით მონაწილე სტუდენტს ან ჯგუფის/ანსამბლის ხელმძღვანელს ან/და გუნდის კაპიტანს აქვს საშუალება, საორგანიზაციო კომიტეტს მიმართოს საჩივრით ღონისძიების მიმდინარეობისას ან კონკურსის დასრულებიდან 24 საათის განმავლობაში.

სპორტული მიმართულებების შემთხვევაში აპელაცია უნდა შეიტანოს გუნდის კაპიტანმა ან ინდივიდუალურმა სპორტსმენმა თამაშის დასრულებიდან არაუმეტეს 30 წუთის განმავლობაში.

აპელაციასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საორგანიზაციო კომიტეტი შესაბამისი მიმართულების ჟიურისთან ერთად.

6. ექსტრემალური პირობები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები

ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, კულტურული მიმართულების აქტივობები შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს ისეთი გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, როგორებიცაა:

- ➔ მონაწილეთა არასაკმარისი რაოდენობა;
- ➔ ამინდის მკვეთრი გაუარესება (გარე აქტივობებისთვის);
- ➔ ტექნიკური გაუმართაობა (ინვენტარის, ტექნიკური აღჭურვილობის ან დარბაზის გაუმართაობა);
- ➔ უსაფრთხოების რისკები (ექსტრემალური სიტუაციები, ჯანმრთელობის საფრთხეები და ა.შ.).

მსგავსი სიტუაციების შემთხვევაში, ორგანიზატორები აცნობებენ პასუხისმგებელ პირებს ცვლილებების შესახებ და შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოფენ ღონისძიების განხორციელების ალტერნატიული გზების მოძიებას.

აგრეთვე, მონაწილე უნივერსიტეტებს წინასწარ, არაუგვიანეს 2 დღისა ეცნობებათ ღონისძიების თარიღის ან/და ლოკაციის ცვლილების შესახებ, გარდა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა.

7. მედია გაშუქება და მონაწილეთა თანხმობა

კონკურსის მსვლელობისას, შესაძლებელია, განხორციელდეს ფოტო და ვიდეო გადაღება, აგრეთვე პირდაპირი ტრანსლაცია.

მონაწილეები, რეგისტრაციის გავლით, არსებული პირობების შესახებ ინფორმაციის შესაბამისად ავტომატურად ეთანხმებიან, რომ ორგანიზატორების მიერ მოხდება მათი

პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათ შორის ფოტო/ვიდეო მასალის გამოყენება ფესტივალის მედია და მარკეტინგულ მასალებში.

თუ რომელიმე მონაწილეს არ სურს, მის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავება (ფოტო/ვიდეო გადაღება), ასეთი მოთხოვნით საორგანიზაციო კომიტეტს უნდა აცნობოს წინასწარ.

ფესტივალის მიმართულებები

კულტურის მიმართულება

კულტურის კომპონენტის განხორციელების აუცილებლობის დასაბუთება

ფესტივალის კულტურის მიმართულება მიზნად ისახავს ახალგაზრდებში კულტურის, მუსიკისა და ხელოვნების მიმართ ინტერესის გაღრმავებას და მათი შემოქმედებითი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას. აღნიშნული მიმართულება ქმნის სივრცეს, სადაც სტუდენტები შეძლებენ წარმოაჩინონ და განივითარონ შემოქმედებითი ნიჭი და უნარები.

ფესტივალის კულტურული მიმართულების ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ, მონაწილეობა მიიღონ ისეთ მრავალფეროვან კონკურსებში, როგორიცაა: ქართული ხალხური ცეკვების კონკურსი, ქართული ხალხური სიმღერის კონკურსი, თანამედროვე ცეკვების კონკურსი, თანამედროვე სიმღერის კონკურსი (სოლო, დუეტები), მუსიკალური ბენდების კონკურსი, ქართული ლიგა, ხატვის კონკურსი, თეატრალური დადგმა.

➢ ფესტივალის კულტურის მიმართულება ხელს შეუწყობს ქართული იდენტობის გაღვივებასა და ახალგაზრდებში მის პოპულარიზაციას, სტუდენტების შემოქმედებით თვითგამოხატვას, ხელოვნების მიმართ ინტერესის გაძლიერებასა და კულტურული მრავალფეროვნების წახალისებას.

ფესტივალის კულტურული მიმართულება ფესტივალს გახდის უფრო მრავალფეროვანს, ინკლუზიურსა და შთამაგონებელს.

კულტურული მიმართულების აქტივობების ჩატარების პრინციპები

ფესტივალის კულტურული მიმართულება ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობის, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის და პროფესიონალური ორგანიზების პრინციპების დაცვით.

განსახორციელებელი კონკურსები:

- ქართული ხალხური ცეკვების კონკურსი;
- ქართული ხალხური სიმღერის კონკურსი;
- თანამედროვე ცეკვების კონკურსი;
- თანამედროვე სიმღერის სოლო შემსრულებლის კონკურსი;
- თანამედროვე სიმღერის დუეტების კონკურსი;
- მუსიკალური ბენდების კონკურსი;
- ხატვის კონკურსი

- თეატრალური დადგმა

- **ქართული ცეკვის კონკურსი**

კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ოფიციალური ფორმით წარმოადგინოს კულტურული მიმართულების აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა სია, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი შესაბამისი ფორმით კულტურული მიმართულების ღონისძიებების შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- ➔ ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;
- ➔ სარეგისტრაციო ფორმა;
- ➔ კულტურული მიმართულების აქტივობის შესაბამისად, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი.

მონაწილეთა რეგისტრაცია ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული დოკუმენტაციის ელექტრონულ ფოსტაზე (studfest2026@gmail.com) გამოგზავნის გზით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კულტურული მიმართულების თითოეულ ღონისძიებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი საკონკურსო ნომერი.(ანსამბლის შემთხვევაში წევრთა მაქსიმალურ რაოდენობას ინდივიდუალურად განსაზღვრავს სასწავლო დაწესებულება).

კულტურულ მიმართულებაში უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი მონაწილეები უნდა იყვნენ წარმდგენი უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე

სტუდენტები. გამონაკლისს წარმოადგენს ქართული ცეკვის და თანამედროვე ცეკვის კონკურსი, სადაც შესაძლებელია მონაწილეთა დამატება, კერძოდ: ქართული ცეკვის კონკურსში თითოეულ უნივერსიტეტს აქვს საშუალება გარდა წარმდგენი უნივერსიტეტის სტუდენტებისა, დამატებით წარმოადგინოს არაუმეტეს 4 მონაწილე, თუმცა დამატებული მონაწილეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო შემადგენლობის 20%-ს და არ უნდა იყვნენ დომინანტი მონაწილეები/სოლისტები), ხოლო თანამედროვე ცეკვის კომპეტენციაში, ზემოაღნიშნული პროცენტულობის დაცვით, შესაძლებელია 2 მონაწილის დამატება.

შეფასდება:

- ტექნიკა და შესრულების სისუფთავე
- ქორეოგრაფიული სირთულე და სიზუსტე
- სცენური გამომსახველობა და ემოცია
- ქართული ცეკვის ტრადიციების დაცვა
- კოსტიუმისა და მუსიკალური გაფორმების შესაბამისობა

კულტურის მიმართულებაში მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 29 წელს. აგრეთვე, ფესტივალის წესების მიხედვით, აკრძალულია ერთი სტუდენტის მონაწილეობა კულტურის ერთზე მეტ კომპონენტში. გამონაკლისს წარმოადგენს ქართული ცეკვა და ხალხური სიმღერა.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა კონკურსში მონაწილე სტუდენტის ჩანაცვლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა ღონისძიების გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი

ინფორმაცია და ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ჩანაცვლებულ პირთან დაკავშირებით.

ღონისძიების დღეს მონაწილეები უნდა გამოცხადდნენ გენერალურ რეპეტიციაზე საორგანიზაციო ჯგუფის მიერ დადგენილ დროს. მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მონაწილის/ანსამბლის მიერ გენერალურ რეპეტიციაზე ან კონკურსზე 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მონაწილეს/ანსამბლს ეთვლება ავტომატური დისკვალიფიკაცია. ფესტივალის ფარგლებში აკრძალულია სახელმწიფო პროფესიული ანსამბლის წევრის დამატება, განურჩევლად მათი სტუდენტის სტატუსისა.

მონაწილეებს შეაფასებს თემატური ჟიური.

- **ხალხური სიმღერის კონკურსი**

კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ოფიციალური ფორმით წარმოადგინოს კულტურული მიმართულების აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა სია, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი შესაბამისი ფორმით კულტურული მიმართულების ღონისძიებების შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- ➔ ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;
- ➔ სარეგისტრაციო ფორმა;
- ➔ კულტურული მიმართულების აქტივობის შესაბამისად, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი.

მონაწილეთა რეგისტრაცია ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული დოკუმენტაციის ელექტრონულ ფოსტაზე (studfest2026@gmail.com) გამოგზავნის გზით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კულტურული მიმართულების თითოეულ ღონისძიებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი საკონკურსო ნომერი.

კულტურის მიმართულებაში მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 29 წელს.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა კონკურსში მონაწილე სტუდენტის ჩანაცვლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა ღონისძიების გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია და ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ჩანაცვლებულ პირთან დაკავშირებით.

ღონისძიების დღეს მონაწილეები უნდა გამოცხადდნენ გენერალურ რეპეტიციაზე საორგანიზაციო ჯგუფის მიერ დადგენილ დროს. მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მონაწილის/ანსამბლის მიერ გენერალურ რეპეტიციაზე ან კონკურსზე 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მონაწილეს/ანსამბლს ეთვლება ავტომატური დისკვალიფიკაცია. ფესტივალის ფარგლებში აკრძალულია სახელმწიფო პროფესიული ანსამბლის წევრის დამატება, განურჩევლად მათი სტუდენტის სტატუსისა.

მონაწილეებს შეაფასებს თემატური ჟიური.

- **სიმღერის კონკურსი-სოლო შემსრულებლები**

კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ოფიციალური ფორმით წარმოადგინოს კულტურული მიმართულების აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა სია, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი შესაბამისი ფორმით კულტურული მიმართულების ღონისძიებების შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- ➔ ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;
- ➔ სარეგისტრაციო ფორმა;
- ➔ კულტურული მიმართულების აქტივობის შესაბამისად, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი.

მონაწილეთა რეგისტრაცია ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული დოკუმენტაციის ელექტრონულ ფოსტაზე (studfest2026@gmail.com) გამოგზავნის გზით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კულტურული მიმართულების თითოეულ ღონისძიებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი საკონკურსო ნომერი (მონაწილემ ნომერი უნდა წარმოადგინოს მინუს ფონოგრამით).

კულტურულ მიმართულებაში უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი მონაწილეები უნდა იყვნენ წარმდგენი უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.

კულტურის მიმართულებაში მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 29 წელს.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა კონკურსში მონაწილე სტუდენტის ჩანაცვლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა ღონისძიების გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია და ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ჩანაცვლებულ პირთან დაკავშირებით.

ღონისძიების დღეს მონაწილეები უნდა გამოცხადდნენ გენერალურ რეპეტიციაზე საორგანიზაციო ჯგუფის მიერ დადგენილ დროს. მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მონაწილის/ანსამბლის მიერ გენერალურ რეპეტიციაზე ან კონკურსზე 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მონაწილეს/ანსამბლს ეთვლება ავტომატური დისკვალიფიკაცია.

მონაწილეებს შეაფასებს თემატური ჟიური.

- **სიმღერის კონკურსი-დუეტები**

კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ოფიციალური ფორმით წარმოადგინოს კულტურული მიმართულების აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა სია, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი შესაბამისი ფორმით კულტურული მიმართულების ღონისძიებების შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- ➔ ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;
- ➔ სარეგისტრაციო ფორმა;

- ➔ კულტურული მიმართულების აქტივობის შესაბამისად, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი.

მონაწილეთა რეგისტრაცია ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული დოკუმენტაციის ელექტრონულ ფოსტაზე (studfest2026@gmail.com) გამოგზავნის გზით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კულტურული მიმართულების თითოეულ ღონისძიებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი საკონკურსო ნომერი (მონაწილემ ნომერი უნდა წარმოადგინოს მინუს ფონოგრამით).
კულტურულ მიმართულებაში უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი მონაწილეები უნდა იყვნენ წარმდგენი უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.

კულტურის მიმართულებაში მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 29 წელს.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა კონკურსში მონაწილე სტუდენტის ჩანაცვლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა ღონისძიების გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია და ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ჩანაცვლებულ პირთან დაკავშირებით.

ღონისძიების დღეს მონაწილეები უნდა გამოცხადდნენ გენერალურ რეპეტიციაზე საორგანიზაციო ჯგუფის მიერ დადგენილ დროს. მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მონაწილის/ანსამბლის მიერ გენერალურ რეპეტიციაზე ან კონკურსზე 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მონაწილეს/ანსამბლს ეთვლება ავტომატური დისკვალიფიკაცია.

მონაწილეებს შეაფასებს თემატური ჟიური.

- **მუსიკალური ბენდების კონკურსი**

კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ოფიციალური ფორმით წარმოადგინოს კულტურული მიმართულების აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა სია, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი შესაბამისი ფორმით კულტურული მიმართულების ღონისძიებების შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- ➔ ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;
- ➔ სარეგისტრაციო ფორმა;
- ➔ კულტურული მიმართულების აქტივობის შესაბამისად, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი.

მონაწილეთა რეგისტრაცია ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული დოკუმენტაციის ელექტრონულ ფოსტაზე (studfest2026@gmail.com) გამოგზავნის გზით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კულტურული მიმართულების თითოეულ ღონისძიებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი საკონკურსო ნომერი.

კულტურულ მიმართულებაში უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი მონაწილეები უნდა იყვნენ წარმდგენი უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.

კულტურის მიმართულებაში მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 29 წელს.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა კონკურსში მონაწილე სტუდენტის ჩანაცვლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა ღონისძიების გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია და ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ჩანაცვლებულ პირთან დაკავშირებით.

ღონისძიების დღეს მონაწილეები უნდა გამოცხადდნენ გენერალურ რეპეტიციაზე საორგანიზაციო ჯგუფის მიერ დადგენილ დროს. მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მონაწილის/ანსამბლის მიერ გენერალურ რეპეტიციაზე ან კონკურსზე 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მონაწილეს/ანსამბლს ეთვლება ავტომატური დისკვალიფიკაცია.

მონაწილეებს შეაფასებს თემატური ჟიური.

- **თანამედროვე ცეკვის კონკურსი**

კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ოფიციალური ფორმით წარმოადგინოს კულტურული მიმართულების აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა სია, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი

შესაბამისი ფორმით კულტურული მიმართულების ღონისძიებების შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- ➔ ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;
- ➔ სარეგისტრაციო ფორმა;
- ➔ კულტურული მიმართულების აქტივობის შესაბამისად, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი.

მონაწილეთა რეგისტრაცია ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული დოკუმენტაციის ელექტრონულ ფოსტაზე (studfest2026@gmail.com) გამოგზავნის გზით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კულტურული მიმართულების თითოეულ ღონისძიებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი საკონკურსო ნომერი.(ანსამბლის შემთხვევაში წევრთა მაქსიმალურ რაოდენობას ინდივიდუალურად განსაზღვრავს სასწავლო დაწესებულება).

კულტურულ მიმართულებაში უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი მონაწილეები უნდა იყვნენ წარმდგენი უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები. გამონაკლისს წარმოადგენს ქართული ცეკვის და თანამედროვე ცეკვის კონკურსი, სადაც შესაძლებელია მონაწილეთა დამატება, კერძოდ: ქართული ცეკვის კონკურსში თითოეულ უნივერსიტეტს აქვს საშუალება გარდა წარმდგენი უნივერსიტეტის სტუდენტებისა, დამატებით წარმოადგინოს არაუმეტეს 4 მონაწილე, თუმცა დამატებული მონაწილეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო შემადგენლობის 20%-ს და არ უნდა იყვნენ დომინანტი მონაწილეები/სოლისტები),

ხოლო თანამედროვე ცეკვის კომპეტენციაში, ზემოაღნიშნული პროცენტულობის დაცვით, შესაძლებელია 2 მონაწილის დამატება.

კულტურის მიმართულებაში მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 29 წელს.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა კონკურსში მონაწილე სტუდენტის ჩანაცვლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა ღონისძიების გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია და ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ჩანაცვლებულ პირთან დაკავშირებით.

ღონისძიების დღეს მონაწილეები უნდა გამოცხადდნენ გენერალურ რეპეტიციაზე საორგანიზაციო ჯგუფის მიერ დადგენილ დროს. მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მონაწილის/ანსამბლის მიერ გენერალურ რეპეტიციაზე ან კონკურსზე 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მონაწილეს/ანსამბლს ეთვლება ავტომატური დისკვალიფიკაცია.

მონაწილეებს შეაფასებს თემატური ჟიური.

- **ქართული ლიგა**

კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ოფიციალური ფორმით წარმოადგინოს კულტურული მიმართულების აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა სია, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი

შესაბამისი ფორმით კულტურული მიმართულების ღონისძიებების შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- ➔ ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;
- ➔ სარეგისტრაციო ფორმა;
- ➔ კულტურული მიმართულების აქტივობის შესაბამისად, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი.

მონაწილეთა რეგისტრაცია ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული დოკუმენტაციის ელექტრონულ ფოსტაზე (studfest2026@gmail.com) გამოგზავნის გზით.

კულტურულ მიმართულებაში უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი მონაწილეები უნდა იყვნენ წარმდგენი უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.

კულტურის მიმართულებაში მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 29 წელს.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა კონკურსში მონაწილე სტუდენტის ჩანაცვლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა ღონისძიების გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია და ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ჩანაცვლებულ პირთან დაკავშირებით.

ღონისძიების დღეს მონაწილეები უნდა გამოცხადდნენ გენერალურ რეპეტიციაზე საორგანიზაციო ჯგუფის მიერ დადგენილ დროს. მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მონაწილის/ანსამბლის მიერ გენერალურ რეპეტიციაზე ან კონკურსზე 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მონაწილეს/ანსამბლს ეთვლება ავტომატური დისკვალიფიკაცია.

მონაწილეებს შეაფასებს თემატური ჟიური.

- **თეატრალური დადგმა**

კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ოფიციალური ფორმით წარმოადგინოს კულტურული მიმართულების აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა სია, რეპერტუარი და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი შესაბამისი ფორმით კულტურული მიმართულების ღონისძიებების შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- ➔ ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;
- ➔ სარეგისტრაციო ფორმა;
- ➔ კულტურული მიმართულების აქტივობის შესაბამისად, სცენარის და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი.

მონაწილეთა რეგისტრაცია ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული დოკუმენტაციის ელექტრონულ ფოსტაზე (studfest2026@gmail.com) გამოგზავნის გზით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კულტურული მიმართულების თითოეულ ღონისძიებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი საკონკურსო ნომერი.

კულტურულ მიმართულებაში უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი მონაწილეები უნდა იყვნენ წარმდგენი უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.

კულტურის მიმართულებაში მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 29 წელს.

თეატრალური დადგმის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 10 წუთი. წარმოდგენა უნდა გადმოსცემდეს ერთ მთლიან ამბავს, რომელსაც ექნება გამოკვეთილი დასაწყისი, განვითარება და ფინალი.

მნიშვნელოვანია, რომ დადგმა არ ეხებოდეს პოლიტიკურ, რელიგიურ, ეთნიკურ, გენდერულ თემებს და არ არღვევდეს ფესტივალის წესებს.

მონაწილეები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ გენერალურ რეპეტიციაზე ორგანიზატორების მიერ დანიშნულ დროს. მონაწილეთა მიერ გენერალურ რეპეტიციაზე ან კონკურსზე 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მონაწილეს ეთვლება ავტომატური დისკვალიფიკაცია.

საკონკურსო გამოსვლებს შეაფასებს ჟიური წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. შეფასებისას ყურადღება მიექცევა დადგმის რეჟისორულ გადაწყვეტას, სიუჟეტის მთლიანობასა და სცენის სივრცის ეფექტურ ათვისებას. ასევე, მნიშვნელოვანი კომპონენტია სამსახიობო ოსტატობა, რაც გულისხმობს პერსონაჟების დაჯერებულობას, მეტყველების კულტურასა და პარტნიორობას. ჟიური დამატებით შეაფასებს დადგმის მხატვრულ გაფორმებას (მუსიკა, განათება, რეკვიზიტი), შემოქმედებით ორიგინალურობასა და რეგლამენტის ზუსტ დაცვას.

შესაძლოა კონკურსის ფარგლებში განისაზღვროს თემატიკა, რის შესახებაც რეგისტრირებულ უნივერსიტეტებს ეცნობებათ წინასწარ.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა კონკურსში მონაწილე სტუდენტის ჩანაცვლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა ღონისძიების გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია და ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ჩანაცვლებულ პირთან დაკავშირებით.

ღონისძიების დღეს მონაწილეები უნდა გამოცხადდნენ გენერალურ რეპეტიციაზე საორგანიზაციო ჯგუფის მიერ დადგენილ დროს. მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

- **ჩატვის კონკურსი**

კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ოფიციალური ფორმით წარმოადგინოს კულტურული მიმართულების აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა სია და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი შესაბამისი ფორმით კულტურული მიმართულების ღონისძიებების შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- ➔ ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;
- ➔ სარეგისტრაციო ფორმა;
- ➔ კულტურული მიმართულების აქტივობის შესაბამისად, ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი.

მონაწილეთა რეგისტრაცია ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული დოკუმენტაციის ელექტრონულ ფოსტაზე (studfest2026@gmail.com) გამოგზავნის გზით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კულტურული მიმართულების თითოეულ ღონისძიებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი სტუდენტი.

კულტურულ მიმართულებაში უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი მონაწილეები უნდა იყვნენ წარმდგენი უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.

კულტურის მიმართულებაში მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 29 წელს.

მონაწილეთა მიერ კონკურსზე 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მონაწილეს ეთვლება ავტომატური დისკვალიფიკაცია.

საკონკურსო ნაშრომს შეაფასებს ჟიური. კონკურსი გაიმართება ფერწერის მიმართულებით. კონკურსის მონაწილეებს ადგილზე დახვდებათ წინასწარ მოწყობილი ნატურმორტები. თითოეულ მონაწილეს მიეცემა 3 საათი, რათა შექმნას საკუთარი ნამუშევარი ნატურმორტის მიხედვით.

სამსაათიანი სამუშაო პროცესის დასრულების შემდეგ ყველა ნამუშევარი განთავსდება გამოფენის ფორმატში, სადაც დამთვალიერებლებსა და ჟიურის წევრებს ექნებათ მათი დათვალიერების შესაძლებლობა.

ჟიური ნამუშევრებს შეაფასებს შემდეგი კრიტერიუმებით:

- კომპოზიცია და სივრცის განაწილება;
- ფერის გამოყენება და ტონალური გადაწყვეტა;
- ტექნიკური შესრულება;

- ნატურმორტის აღქმა და გადმოცემის სიზუსტე;
- აკადემიური მიდგომა.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა კონკურსში მონაწილე სტუდენტის ჩანაცვლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა ღონისძიების გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღით ადრე უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია და ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ჩანაცვლებულ პირთან დაკავშირებით.

8. შეფასების წესი და კრიტერიუმები

კონკურს(ებ)ში გამარჯვებულების გამოავლენს პროფესიონალი ჟიური. კონკრეტული კულტურული სახეობის სპეციფიკისა და მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით განისაზღვრება ჟიურის წევრთა შესაბამისი რაოდენობა.
მონაწილეთა შეფასება განხორციელდება დებულებით განსაზღვრული პრინციპებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.

კულტურული ნომრებისთვის განისაზღვრება შემდეგი შეფასების კრიტერიუმები:

კრეატიულობა – რამდენად ორიგინალურია ნამუშევარი.

ტექნიკური ოსტატობა – შესრულების ხარისხი და სირთულე.

ემოციური გავლენა – რამდენად ძლიერია გავლენა მაყურებელზე.

კომპოზიცია და მთლიანობა – იდეის სრულყოფილად გადმოცემა.

პრეზენტაციის ხარისხი – ნამუშევრის წარმოდგენის ფორმა და ესთეტიკა.

კულტურული მიმართულების ფარგლებში არსებული ღონისძიებები ჩატარდება ერთ ტურად.

საგანმანათლებლო/შემეცნებითი მიმართულება

საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიმართულების განხორციელების აუცილებლობის დასაბუთება

„სტუდფესტი 2026“-ის საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიმართულება მიზნად ისახავს სტუდენტების ინტელექტუალური, კრეატიული და ტექნოლოგიური უნარების განვითარებას ინტერაქტიური და პრაქტიკული აქტივობების გზით. ინოვაციური მიდგომების, გუნდური მუშაობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების საშუალებით, ფესტივალი შექმნის სივრცეს, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავიანთი ცოდნის გაღრმავებას, თანამედროვე გამოწვევების გააზრებასა და პროფესიული კარიერისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას.

აღნიშნული მიმართულების მიზანია სტუდენტების ინტელექტუალური განვითარებისა და ინოვაციური აზროვნების წახალისება, კვლევისა და კრიტიკული აზროვნების კულტურის ჩამოყალიბება, თანამედროვე მეცნიერების, ტექნოლოგიების, ბიზნესისა და ხელოვნების სფეროების პოპულარიზაცია.

ინკლუზიური და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გარემოს შექმნით და თანაბარ შესაძლებლობებზე ორიენტირებული ღონისძიებების ორგანიზებით, საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობები, ხელს შეუწყობს პრაქტიკული და კომუნიკაციის უნარების განვითარებას, დაეხმარება სტუდენტებს უკეთ გაიცნონ ქალაქის ისტორია და კულტურა, ხელი შეეწყოს გუნდური მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ფესტივალის ეს მიმართულება ხელს შეუწყობს სხვადასხვა სფეროში მომუშავე პროფესიონალებისა და სტუდენტების ურთიერთკავშირს, რაც გაზრდის სამომავლო დასაქმების შესაძლებლობას. ეს ხედვა უზრუნველყოფს, რომ „სტუდფესტი 2026“ გახდეს ცოდნის, ინოვაციისა და პიროვნული განვითარების პლატფორმა.

საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობების

ჩატარების/შეფასების/გამარჯვებულთა გამოვლენის სტანდარტი

ფესტივალის ფარგლებში საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობები ჩატარდება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

მონაწილეების შეფასება ყველა საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიმართულებით მოხდება საერთაშორისო, ამ მიმართულებისთვის დადგენილი წესებისა და სტანდარტების შესაბამისად.

სტუდენტური ფესტივალის ჟიურის შეფასების სისტემა იქნება სამართლიანი, გამჭვირვალე და ღონისძიების სპეციფიკას მორგებული.

გამარჯვებულების გამოვლენას უზრუნველყოფს პროფესიონალი ჟიური. კონკრეტული აქტივობის სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრება ჟიურის წევრთა შესაბამისი რაოდენობა.

ფესტივალში მონაწილე ახალგაზრდების დაჯილდოება გაიმართება ფესტივალის დახურვის ცერემონიაზე ან/და ყოველი მიმართულების დასრულების შემდგომ.

მონაწილეთა დაშვების საერთო წინაპირობა

ფესტივალში მონაწილეობა შესაძლებელია საგანმანათლებლო დაწესებულების წარდგინებით;

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ოფიციალური წერილის ფორმით უნდა წარმოადგინოს მონაწილე სტუდენტთა სია, ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ, მონაწილეთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და შევსებული სარეგისტრაციო განაცხადი. აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელ-ფოსტაზე: studfest2026@gmail.com;

სასურველია საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებში ჩართულნი იყვნენ არაპროფესიონალი/მოყვარული სტუდენტები, რათა მეტად იყოს დაცული თანასწორი კონკურენციის პრინციპები.

ფესტივალის საგანმანათლებლო მიმართულებაში მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 29 წელს.

საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიმართულების ჩატარების პრინციპები

ფესტივალის ფარგლებში საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიმართულება ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობის, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის, პროფესიონალური ორგანიზებისა და სამართლიანი თამაშების გამართვის პრინციპების დაცვით.

შეფასების სისტემა არის პროფესიონალური, გამჭვირვალე და ღონისძიების სპეციფიკას მორგებული.

საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიმართულების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს მონაწილეთა თანასწორობა და ინკლუზიურობა.

ორგანიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანაბარი ხელმისაწვდომობა ტურნირებში მონაწილეობის მიღების მიზნით.

საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიმართულების კონკურსები

საგანმანათლებლო და შემეცნებითი კონკურსები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- დებატები დანართი
- City Game დანართი
- ინტელექტუალური თამაშები
- წიგნების თარი დანართი
- ესეების კონკურსი დანართი

საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებში მონაწილეობის პირობები

საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიმართულების ღონისძიებებში მონაწილეობა შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი პირის ოფიციალური წარდგინებით;

საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ოფიციალური ფორმით წარმოადგინოს აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა სია მოთხოვნის შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთოდეს:

- ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;
- სარეგისტრაციო ფორმა;
- აქტივობების შესაბამისად ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გუნდური შეჯიბრების სახეობებში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი გუნდი, ამ დებულების დანართებით გათვალისწინებული მონაწილეთა რაოდენობის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა კონკურსში მონაწილე სტუდენტის ჩანაცვლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა ღონისძიების გამართვამდე 2 დღით ადრე უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია ჩასანაცვლებელ პირთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიმართულების კონკურსების ჩატარების წესი

ფესტივალის ფარგლებში საგანმანათლებლო მიმართულების ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით.

საორგანიზაციო კომიტეტი ვალდებულია წინასწარ განსაზღვროს კონკურსის თემატიკა (აქტივობის სპეციფიკის გათვალისწინებით) და საჭიროების შემთხვევაში,

წინასწარ განსაზღვროს მასთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებები.

კონკურსის მონაწილეები უნდა შეფასდნენ შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც ეფუძნება სათანადო ტექნიკურ, შემოქმედებით და ინტელექტუალურ სტანდარტებს.

კონკურსის ფარგლებში უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა საჭირო ტექნიკური და საკანცელარიო აღჭურვილობა.

- **დებატების კონკურსი**

- დებატების თემატიკა მონაწილეებისთვის ცნობილი გახდება არაუმცირეს კონკურსამდე 1 კვირით ადრე.

- სტუდენტრი დებატების მიზნები: კრიტიკული აზროვნების განვითარება, ვერბალური კომუნიკაციის გაუმჯობესება, არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება.

- მონაწილისათვის აუცილებელია ფოლისი (policy) ფორმატის ფორმალურ დებატების ცოდნა;

- აუცილებელია მონაწილეები დაესწრონ საინფორმაციო შეხვედრას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებენ დებატებში მონაწილეობის მიღებას.

- საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარადგინოს ერთი გუნდი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება 3 წევრისგან;

- თამაშში გამოვლინდება 3 გამარჯვებული გუნდი I, II და III ადგილები და მათი წარმდგენი საგანმანათლებლო დაწესებულება.

- I, II და III ადგილოსნები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით.

- **City Game**

- საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი გუნდი.
- ყოველი გუნდი შედგება 2 წევრისაგან (1 გოგო; 1 ბიჭი)
- შეჯიბრის დაწყებისას გუნდებს უწევთ თავსატეხზე სწორი პასუხის გაცემა, რათა მოიპოვონ პირველი მინიშნება და დაიწყონ თამაში.
- თამაშის ყოველ შემდეგ წერტილზე გუნდებს გადაეცემა შეკითხვა, რომელზე პასუხიც თავის თავში მოიცავს მინიშნებას თამაშის შემდეგ ადგილმდებარეობაზე.
- არასწორი პასუხის შემთხვევაში გუნდს უწევს მცირე ხნით დალოდება და თამაშის გასაგრძელებლად შემდეგ მინიშნებას მიიღებს 5 წუთის შემდეგ. თავდაპირველად ყველა ადგილზე არის იმდენი მინიშნება, რამდენი გუნდიც იღებს მონაწილეობას. შემდეგ ეტაპობრივად მინიშნებების რაოდენობა იკლებს და ყოველ შემდეგ ეტაპზე გადადის ის გუნდი, ვინც პირველი შეძლებს მინიშნების მოპოვებას.
- გამარჯვებული გახდება გუნდი, რომელიც პირველი შეაგროვებს ყველა მინიშნებას და წარადგენს საბოლოო დანიშნულების ადგილზე.
- გუნდის წევრებს არ აქვთ უფლება მთელი შეჯიბრის მომენტში ერთმანეთს დაშორდნენ, რომლის კონტროლსაც განახორციელებს ზედამხედველი. საფინალო ეტაპზე ორი გუნდის გასვლის შემთხვევაში შესაძლებელია თავსატეხის დამატება.
- თამაშში გამოვლინდება 3 გამარჯვებული გუნდი I, II და III ადგილები და მათი წარმდგენი საგანმანათლებლო დაწესებულება.
- I, II და III ადგილოსნები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით.

- **ინტელექტუალური თამაში**

- შეკითხვები წარმოდგენილი იქნება როგორც პროფესიული, ასევე, ზოგადი განათლების თემატიკის გათვალიწინებით.

- თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია წარმოადგინოს 6 მოთამაშით დაკომპლექტებული მხოლოდ 1 გუნდი. გუნდის წევრი აუცილებელია იყოს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

- შეჯიბრი შედგება ორი ეტაპისგან;

- პირველ ეტაპზე გაჟღერდება 15 გუნდური შეკითხვა - თითოეული სწორი პასუხი შეფასდება 1 ქულით, არასწორი 0 ქულით;

- მეორე ეტაპზე გუნდმა უნდა წარადგინოს ერთი მონაწილე, რომელმაც უნდა უპასუხოს 15 შეკითხვას - სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი -1 ქულით. თემა: ქართული ხელოვნება.

- გამარჯვებული უნივერსიტეტი გამოვლინდება გუნდური და ინდივიდუალური ეტაპების ქულათა ჯამით;

- თანაბარი ქულების შემთხვევაში გამარჯვებული გამოვლინდება დამატებითი შეკითხვების საფუძველზე.

- თამაშში გამოვლინდება 3 გამარჯვებული გუნდი I, II და III ადგილები და მათი წარმდგენი საგანმანათლებლო დაწესებულება.

- I, II და III ადგილოსნები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით.

- **წიგნების თარო**

- „წიგნების თარო“ არის ლიტერატურულ-შემეცნებითი ინტელექტუალური თამაში;

- თამაშის მიზანია ახალგაზრდებში კითხვის კულტურის, ლიტერატურისა და ზოგადი ცოდნის პოპულარიზაცია.

- თამაშში მონაწილე გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებიან სხვადასხვა თემატურ რაუნდში.

- თითოეული გუნდი შედგება 3 წევრისგან (აუცილებელია თითოეული მათგანი იყოს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი);
- გუნდი უნდა წარმოადგენდეს კონკრეტულ უნივერსიტეტს;
- გუნდს აუცილებელია ჰყავდეს კაპიტანი;
- კაპიტანი წარმოადგენს გუნდს და აცხადებს საბოლოო პასუხებს;
- თამაში შედგება 4 ეტაპისგან: ლიტერატურული ეტაპი (კითხვები ეხება ქართულ და მსოფლიო ლიტერატურას), ქართული თემატიკის ეტაპი (კითხვები საქართველოს ისტორიაზე, კულტურაზე, გეოგრაფიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე), ზოგადი ცოდნის ეტაპი (თემები შეიძლება იყოს მეცნიერება, ხელოვნება, სპორტი, ისტორია და სხვა), ბლიც რაუნდი (შეზღუდული დროის განმავლობაში გუნდმა უნდა დააგროვოს მაქსიმალურად ბევრი სწორი პასუხი).
- გამარჯვებულია გუნდი, რომელიც თამაშის ბოლოს დააგროვებს ყველაზე მეტ ქულას.
- თანაბარი ქულების შემთხვევაში გაჟღერდება დამატებითი შეკითხვა.
- I, II და III ადგილოსნები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით.

- **ესეების კონკურსი**

- ესეების კონკურსის მიზანია ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი წერისა და ანალიტიკური უნარების განვითარება;
- კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიური სტატუსის მქონდე სტუდენტებს;
- თითოეული უნივერსიტეტი კონკურსში წარადგენს მხოლოდ 1 სტუდენტს;
- კონკურსი ჩატარდება ადგილზე, ინდივიდუალურ ფორმატში. მონაწილეები ესეს დაწერენ კომპიუტერის გამოყენებით;

- წერის პროცესში აკრძალული იქნება ნებისმიერი დამატებითი ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება, მათ შორის: მობილური ტელეფონები, პლანშეტები, სმარტ-საათები და სხვა მსგავსი მოწყობილობები. მონაწილეებს უფლება ექნებათ გამოიყენონ მხოლოდ კონკურსისთვის განკუთვნილი ლეპტოპი. ინტერნეტ რესურსების, წიგნების, ჩანაწერების ან სხვა ინფორმაციის წყაროების გამოყენება დაუშვებელია.
- წესების დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორებს უფლება აქვთ მონაწილე მოიხსნან კონკურსიდან და მისი ნაშრომი არ განიხილონ.
- ნაშრომს შეაფასებს სპეციალური ჟიური;
- ნაშრომის მოცულობა უნდა აღემატებოდეს 200 სიტყვას;
- ნაშრომის შესასრულებლად განსაზღვრული დრო შეადგენს 2 საათს;
- I, II და III ადგილოსნები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით.

სპორტული მიმართულება

1. სპორტული კომპონენტის განხორციელების აუცილებლობის დასაბუთება

სპორტული კომპონენტი მიზნად ისახავს სტუდენტებში ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ფიზიკური აქტივობების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, განსაკუთრებით მათი დადებითი გავლენის კუთხით ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა ახალგაზრდებს არა მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესით დაინტერესებაში ეხმარება, არამედ ხელს უწყობს გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას, თავდაჯერებულობისა და დისციპლინის განმტკიცებას, სტრესისა და ემოციების მართვის გაუმჯობესებას, ლიდერული უნარების ჩამოყალიბებას და პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებას.

სპორტული აქტივობები ხელს უწყობს როგორც ფიზიკურ, ისე მენტალურ კეთილდღეობას, აძლიერებს სტუდენტების ჩართულობას და სპორტისადმი ინტერესის გაზრდას, ასევე ქმნის ჯანმრთელობის შენარჩუნების კულტურას. თანამედროვე სტუდენტებისთვის სპორტი წარმოადგენს სტრესისგან გათავისუფლების, მავნე ზეგავლენისგან დაცვის, ენერგიის აღდგენისა და აკადემიური გამოწვევების დაბალანსების ერთ-ერთ საუკეთესო გზას. აქტიური ცხოვრების წესი არა მხოლოდ აძლიერებს ჯანმრთელობას, არამედ დადებითად მოქმედებს მოტივაციასა და პროდუქტიულობაზე. სპორტული შეჯიბრებები და გუნდური თამაშები კი ფესტივალის მონაწილეებს დაეხმარება საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენასა და პიროვნულ განვითარებაში.

სპორტი ასევე ქმნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ახალ სივრცეს, აძლიერებს საუნივერსიტეტო კულტურას და სტუდენტებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, გაიცნონ და ითანამშრომლონ ერთმანეთთან. ამასთან ერთად, სპორტული ღონისძიებები გაზრდის ფესტივალის პოპულარობას და მის მიმართ ინტერესს როგორც მონაწილეებში, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებში.

სტუდფესტი 2026-ის სპორტული მიმართულება ფესტივალს გახდის უფრო მრავალფეროვანს, ინკლუზიურსა და შთამაგონებელს. ეს იქნება პლატფორმა, სადაც

სტუდენტები არა მხოლოდ ცოდნას მიიღებენ და იდეებს გაცვლიან, არამედ შეძლებენ ფიზიკური და მენტალური შესაძლებლობების განვითარებას, რაც მათ პიროვნულ და პროფესიულ წინსვლაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

2. სპორტული შეჯიბრებების ჩატარების/მსაჯობის/გამარჯვებულის გამოვლენის სტანდარტი

ფესტივალის ფარგლებში სპორტული ტურნირები ჩატარდება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

მონაწილეების შეფასება ყველა სპორტული მიმართულებით მოხდება საერთაშორისო, ამ სპორტისათვის დადგენილი წესებისა და სტანდარტების შესაბამისად.

საჭიროებიდან გამომდინარე, ზოგიერთ სპორტულ სახეობაში კენჭისყრა ჩატარდება ღია პრინციპით, ტურნირების გამართვამდე, ელექტრონულად ან ფიზიკურად. კენჭისყრის დასრულების შემდეგ, სპორტული ტურნირების კალენდარი გამოქვეყნდება ფესტივალის სოციალურ გვერდზე.

სტუდენტური ფესტივალის სამსაჯო სისტემა იქნება სამართლიანი, გამჭვირვალე და ღონისძიების სპეციფიკას მორგებული.

გამარჯვებულების გამოვლენას უზრუნველყოფს პროფესიონალ მსაჯთა გუნდი. კონკრეტული სპორტის სახეობის საჭიროების/მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით განისაზღვრება მსაჯთა შესაბამისი რაოდენობა.

ფესტივალში მონაწილე ახალგაზრდების დაჯილდოება გაიმართება ფესტივალის დახურვის ცერემონიაზე ან/და ყოველი მიმართულების დასრულების შემდგომ.

3. მონაწილეთა დაშვების საერთო წინაპირობა

ფესტივალში მონაწილეობა შესაძლებელია საგანმანათლებლო დაწესებულების წარდგინებით;

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ოფიციალური წერილის ფორმით უნდა წარმოადგინოს მონაწილე სტუდენტთა სია, სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ ცნობა, სარეგისტრაციო ფორმა და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალი შესაბამისი ფორმით უნდა გადმოაგზავნონ შემდეგ ელ-ფოსტაზე: studfest2026@gmail.com

სასურველია სპორტულ ტურნირებში ჩართულნი იყვნენ არაპროფესიონალი/მოყვარული სპორტსმენები, რათა მეტად იყოს დაცული თანასწორი კონკურენციის პრინციპები.

4. სპორტული აქტივობები

ფესტივალის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ 23 სპორტულ აქტივობაში: **3X3 კალათბურთი, ჩოგბურთი, ჭადრაკი, კარტინგი, ფუტსალი, მაგიდის ჩოგბურთი, ფეინთბოლი, შვიდკაცა რაგბი, ჯომარდობა, მინი ფეხბურთი, ფრენბურთი, ბოულინგი, პადელი, დარტსი, კლდეზე ცოცვა, კიბერსპორტი, ბილიარდი, მკლავჭიდი, ძიუდო, სასტენდო სროლა, ქართული ჭიდაობა, ნარდი და შაში.**

5. სპორტული ტურნირების ჩატარების პრინციპები

ფესტივალის ფარგლებში სპორტული ტურნირები ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობის, სპორტული ეთიკის, ფეირპლეის (Fair Play), უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის, პროფესიონალური ორგანიზებისა და სამართლიანი მსაჯობის პრინციპების დაცვით.

სამსაჯო სისტემა არის პროფესიონალური, გამჭვირვალე და ღონისძიების სპეციფიკას მორგებული.

სპორტული მიმართულების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს მონაწილეთა თანასწორობა და ინკლუზიურობა.

ორგანიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანაბარი ხელმისაწვდომობა ტურნირებში მონაწილეობის მიღების მიზნით.

6.სპორტული მიმართულების შეჯიბრებები

ჩამოყალიბდეს სპორტული შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები:

1. 3x3 კალათბურთი დანართი N6.1-ის შესაბამისად;
2. ჩოგბურთი - დანართი N6.2-ის შესაბამისად;
3. ჭადრაკი - დანართი N6.3-ის შესაბამისად;
4. კარტინგი - დანართი N6.4-ის შესაბამისად;
5. ფუტსალი - დანართი N6.5-ის შესაბამისად;
6. მაგიდის ჩოგბურთი - დანართი N6.6-ის შესაბამისად;
7. ფეინთბოლი - დანართი N6.7-ის შესაბამისად;
8. შვიდკაცა რაგბი - დანართი N6.8-ის შესაბამისად;

9. ჯომარდობა - დანართი N6.9-ის შესაბამისად;
10. მინი ფეხბურთი - დანართი N6.10-ის შესაბამისად;
11. ფრენბურთი - დანართი N6.11-ის შესაბამისად;
12. ბოულინგი - დანართი N6.12-ის შესაბამისად;
13. პადელი - დანართი N6.13-ის შესაბამისად;
14. დარტსი - დანართი N6.14-ის შესაბამისად;
15. კლდეზე ცოცვა - დანართი N6.15-ის შესაბამისად;
16. კიბერ სპორტი - დანართი N6.16-ის შესაბამისად;
17. ბილიარდი - დანართი N6.17-ის შესაბამისად;
18. მკლავჭიდი - დანართი N6.18-ის შესაბამისად;
19. ძიუდო - დანართი N6.19-ის შესაბამისად;
20. სასტენდო სროლა - დანართი N6.20-ის შესაბამისად;
21. ქართული ჭიდაობა - დანართი N6.21-ის შესაბამისად;
22. ნარდი - დანართი N6.22-ის შესაბამისად;
23. შაში - დანართი N6.23-ის შესაბამისად;

7. რეგისტრაცია და მონაწილეობის პირობები

სპორტული მიმართულების ღონისძიებებში მონაწილეობა შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი პირის ოფიციალური წარდგინებით;

საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ოფიციალური ფორმით წარმოადგინოს სპორტულ აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა სია სპორტული ტურნირის შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთოდეს:

- ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ
- სარეგისტრაციო ფორმა;

მონაწილეთა რეგისტრაცია ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული დოკუმენტაციის ელექტრონულ ფოსტაზე studfest2026@gmail.com გამოგზავნის გზით.

თანასწორი კონკურენციის მიზნით, სასურველია სპორტულ ტურნირებში ჩართულნი იყვნენ მოყვარული სპორტსმენები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გუნდური სპორტის სახეობებში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი გუნდი, ამ დებულების დანართებით გათვალისწინებული მონაწილეთა რაოდენობის შესაბამისად.

ფესტივალის წესების მიხედვით, თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს მხოლოდ 1 გუნდურ სახეობაში (მინი ფეხბურთი, 3x3 ზე კალათბურთი, 7 კაცა რაგბი, ფუტსალი, ფრენბურთი);

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა კონკურსში მონაწილე სტუდენტის ჩანაცვლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა ღონისძიების გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია და ჩამნაცვლებელ პირთან დაკავშირებული ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

8. სპორტული ტურნირები და თამაშების ჩატარების წესი

ფესტივალის ფარგლებში სპორტული მიმართულების ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით

სპორტული ტურნირები მონაწილეთა რაოდენობისა და სპორტული აქტივობის მახასიათებლების გათვალისწინებით შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ოლიმპიური, ასევე ლიგური ან ჯგუფური სისტემით.

ტურნირის კენჭისყრა ჩატარდება ღია პრინციპით, ტურნირების გამართვამდე გონივრული ვადით ადრე ელექტრონულად/ფიზიკურად, რომელსაც უნდა ესწრებოდეს ინდივიდუალური სპორტსმენი/გუნდის ერთი წარმომადგენელი.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ, სპორტული ტურნირების კალენდარი ქვეყნდება ფესტივალის ელექტრონულ/სოციალურ გვერდზე.

შეჯიბრებაზე სპორტსმენის/გუნდის 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში მონაწილეს/გუნდს ეთვლება ავტომატური წაგება.

დანართი N6.1

- **3X3 კალათბურთის შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღების პირობები: საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარმოადგინოს 4 მონაწილის კანდიდატურა (1 გუნდი). ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ **ვაჟებს.**

ტურნირის ჩატარების პრინციპი: ოლიმპიური სისტემა

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის **თასებს,**
- გუნდების თითოეული წევრი მიიღებს შესაბამისი ხარისხის **მედლებსა** და **სიგელებს.**
- საპრიზო ადგილზე გასული გუნდებისთვის გათვალისწინებულია **ფულადი პრიზი.**

ტურნირის ჩატარების წესები: ტურნირი ჩატარდება **საერთაშორისო საკალათბურთო წესების** მიხედვით.

დანართი N6.2

- **ჩოგბურთის შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღების პირობები: საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარმოადგინოს 2 ვაჟის და 2 გოგონას კანდიდატურა. შეჯიბრება ჩატარდება გოგონათა და ვაჟთა კატეგორიებში (ინდივიდუალურად).

ტურნირის ჩატარების პრინციპი: ოლიმპიური სისტემა, 2 პარტიის მოგებამდე.

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის **თასებს,**
- გუნდების თითოეული წევრი მიიღებს შესაბამისი ხარისხის **მედლებსა** და **სიგელებს.**

- საპრიზო ადგილზე გასული გუნდებისთვის გათვალისწინებულია **ფულადი პრიზი.**

ტურნირის ჩატარების წესები: ტურნირი ჩატარდება **საერთაშორისო ჩოგბურთის წესების** მიხედვით.

დანართი N6.3

- **ჭადრაკის შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღების პირობები: საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარმოადგინოს 4 მონაწილე - 2 ვაჟის და 2 გოგონას კანდიდატურა. შეჯიბრება ჩატარდება გოგონათა და ვაჟთა კატეგორიებში (ინდივიდუალურად).

ტურნირის ჩატარების პრინციპი: შვეიცარიული სისტემა, 7 ტურად.

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული მონაწილეები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის **სიგელებს, მედლებსა და თასებს**
- საპრიზო ადგილზე გასული გუნდებისთვის აგრეთვე გათვალისწინებულია **ფულადი პრიზი.**

ტურნირის ჩატარების წესები: ტურნირი ჩატარდება **ჭადრაკის საერთაშორისო ასოციაციის (FID) წესების** მიხედვით.

დანართი N6.4

- **კარტინგის შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღების პირობები: საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარმოადგინოს 6 მონაწილე - 2 ვაჟის და 4 გოგონას კანდიდატურა.

შეჯიბრება ჩატარდება გუნდურად. გამარჯვებული გამოვლინდება მონაწილეთა საშუალო ნაჩვენები დროით.

ტურნირის ჩატარების პრინციპი: ოლიმპიური სისტემით, გამარჯვებული გამოვლინდება ნაჩვენები საშუალო დროის მიხედვით.

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებსა და სიგელებს.
- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენებისათვის ასევე გათვალისწინებულია ფულადი პრიზები

ტურნირის ჩატარების წესები: საპრიზო ადგილს დაიკავებენ ის გუნდები, რომლებიც აჩვენებენ ყველაზე ნაკლებ დროს.

დანართი N6.5

- **ფუტსალის შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღების პირობები: საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარმოადგინოს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 14 მონაწილის კანდიდატურა. ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ **ვაჟებს.**

ტურნირის ჩატარების პრინციპი: ოლიმპიური სისტემით, ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები ითამაშებენ III ადგილისათვის, ხოლო გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში.

ტურნირი ტარდება FIFA-ს წესების შესაბამისად: - თამაშის დროს მოედანზე გუნდები 5-5 კაცის შემადგენლობითაა წარმოდგენილი (მათგან 1 - მეკარე) (დანარჩენი მოთამაშეები - სათადარიგოთა სკამზე). - შეხვედრა შედგება ორი, 20 წუთიანი ("ჭუჭყიანი დრო") ტაიმისაგან; - ტაიმებს შორის შესვენება 10 წუთია; - მატჩის

ძირითადი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი დრო 5 წუთი. მატჩის დამატებითი დროის ფრედ დამთავრების შემთხევაში ინიშნება პენალტების სერია. 5-5 პენალტი; - დაშვებულია ნებისმიერი რაოდენობის შეცვლები. ყველა შეცვლილ მოთამაშეს უფლება აქვს დაბრუნდეს მოედანზე; - თითო ტაიმში 5 ჯარიმის აღებისას, მიღებული ყოველი შემდეგი ჯარიმისას ინიშნება 10-მეტრიანი დარტყმა; - აუტის შიდა ხაზიდან მოწოდების შემთხვევაში, ბურთი გადაეცემა მოწინააღმდეგე გუნდს. ბურთი უნდა დაფიქსირდეს ხაზზე; - მეკარეს ბურთის გაჩერება შეუძლია 4 წამი, როგორც ხელში, ასევე ფეხით; - თამაშის დროს, როდესაც მეკარე დაიწყებს კარიდან თამაშს და ბურთს გაათამაშებს, სანამ მოწინააღმდეგე არ შეეხება ბურთს, მოთამაშე მეორედ ვერ უბრუნებს მეკარეს; - მწვრთნელს უფლება აქვს თითოეულ ტაიმში აიღოს ერთი წუთშესვენება; - მოთამაშე ჯარიმდება ყველა ამ წესის დარღვევისათვის, აგრეთვე ბლოკირებისათვის და უხეში თამაშისათვის; - მოთამაშე ემორჩილება მსაჯის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი მოიხსნება ტურნირიდან; - ყვითელ და წითელ ბარათს, მოთამაშე მიიღებს იმ შემთხვევაში, როდესაც უხეშად ან სახიფათოდ ითამაშებს მოწინააღმდეგესთან. ასევე მსაჯთან შელაპარაკება ისჯება წითელი ბარათით; - გაგდებულ მოთამაშეს უფლება არ აქვს დაბრუნდეს მოედანზე; - მოთამაშის გაგდებისას გუნდს უფლება არ აქვს გაგდებული მოთამაშის ნაცვლად სათადარიგო მოთამაშე გამოიყვანოს მოედანზე. 2 წუთი; - გაშვებული გოლის შემდეგ გუნდი თამაშს იწყებს ცენტრიდან; - როდესაც ბურთი გადაკვეთს აუტის ხაზს ბურთის მოწოდება ხდება გადასვლის ადგილის ხაზიდან.

მსაჯობა - ტურნირს მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებსა და სიგელებს
- საპრიზო ადგილზე გასული გუნდებისათვის ასევე გათვალისწინებულია ფულადი პრიზი.

ტურნირის ჩატარების წესები: ტურნირი ჩატარდება ფუტსალის საერთაშორისო წესების შესაბამისად

დანართი N6.6

- **მაგიდის ჩოგბურთის შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღების პირობები: საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარმოადგინოს 4 მონაწილე - 2 ვაჟის და 2 გოგონას კანდიდატურა. შეჯიბრება ჩატარდება გოგონათა და ვაჟთა კატეგორიებში ინდივიდუალურად.

ტურნირის ჩატარების პრინციპი: ოლიმპიური სისტემით - მატჩები გაგრძელდება 2 პარტიის მოგებამდე, ხოლო 1/2 ფინალიდან - 3 პარტიის მოგებამდე

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის სიგელებს, მედლებსა და თასებს.
- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენებისათვის (გოგონები/ვაჟები ცალ-ცალკე) ასევე გათვალისწინებულია ფულადი პრიზები

ტურნირის ჩატარების წესები: ტურნირი ჩატარდება მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო წესების შესაბამისად

დანართი N6.7

- **ფეინთბოლის შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღების პირობები: საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარმოადგინოს 1 გუნდი - 5 მოთამაშით (მათ შორის არანაკლებ 2 გოგონა).

ტურნირის ჩატარების პრინციპი: ოლიმპიური სისტემით

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებს და სიგელებს.

ტურნირის ჩატარების წესები: ტურნირი ჩატარდება ფეინთბოლის საერთაშორისო წესების შესაბამისად.

დანართი N6.8

- **შვიდკაცა რაგბის შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღების პირობები: საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარმოადგინოს 1 გუნდი - არაუმეტეს 15 მოთამაშის განაცხადი (12 მოთამაშე მატჩის წინა განაცხადი)

ტურნირის ჩატარების პრინციპი:

- ტურნირი გაიმართება ერთ წრედ, ჯგუფური სისტემით.
- ჯგუფურ ეტაპზე მოპოვებული ქულების შესაბამისად, ჯგუფში I-II ადგილებზე გასული გუნდები ჯვარედინი პრინციპით შეხვდებიან ერთმანეთს ნახევარფინალებში.
- გუნდებს შორის შეხვედრების ტაიმების ხანგრძლივობაა 7-7 წუთი, ხოლო ფინალურ მატჩში 10-10 წუთი. შესვენება ტაიმებს შორის – 1 წუთი.
- ქულათა სისტემა - მოგება-2 ქულა, ფრე-1 ქულა, წაგება- 0 ქულა.
- ტრავმის მიღების შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ 2 მოთამაშის შეცვლა. ყვითელი ბარათი – 2 წუთით გაძევება, წითელი ბარათი – მატჩიდან გაძევება და შემდგომ სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს მოთამაშის დისკვალიფიკაციის საკითხს. დისკვალიფიკაცია ვრცელდება ს.რ.კ. – ის ეგიდით ჩატარებული ჩემპიონატის და თასის გათამაშების მატჩებზე

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილზე გასული გუნდებისათვის ასევე გათვალისწინებულია ფულადი პრიზები.

ტურნირის ჩატარების წესები: ტურნირი ჩატარდება შვიდკაცა რაგბის საერთაშორისო წესების შესაბამისად.

დანართი N6.9

- **ჯომარდობის შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღების პირობები: საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარმოადგინოს 2 გუნდი - თითოეულ გუნდში 4 ვაჟი და 2 გოგონა.

ტურნირის ჩატარების პრინციპი:

- ტურნირი გაიმართება ოლიმპიური სისტემით.
- დაშვების მანძილია 3 კილომეტრი.
- საუკეთესო დროის მაჩვენებელი გუნდები მიიღებენ მონაწილეობას ფინალურ გაცურვებში. გამარჯვებული გუნდები გამოვლინდებიან 3 საუკეთესო დაშვების დროის მაჩვენებლის გათვალისწინებით.

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებსა და სიგელებს.
- საპრიზო ადგილზე გასული გუნდებისათვის ასევე გათვალისწინებულია ფულადი პრიზები

ტურნირის ჩატარების წესები: ტურნირი ჩატარდება ჯომარდობის საერთაშორისო წესების შესაბამისად.

დანართი N6.10

- **მინი ფეხბურთის შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღების პირობები: საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარმოადგინოს არანაკლებ 6 და არაუმეტეს 14 მონაწილის კანდიდატურა. ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ **ვაჟებს.**

ტურნირის ჩატარების პრინციპი:

ტურნირი ტარდება FIFA-ს წესების შესაბამისად: - თამაშის დროს მოედანზე გუნდები 5-5 კაცის შემადგენლობითაა წარმოდგენილი (მათგან 1 - მეკარე) (დანარჩენი მოთამაშეები - სათადარიგოთა სკამზე). - შეხვედრა შედგება ორი, 20 წუთიანი ("ჭუჭყიანი დრო") ტაიმისაგან; - ტაიმებს შორის შესვენება 10 წუთია; - მატჩის ძირითადი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი დრო 5 წუთი. მატჩის დამატებითი დროის ფრედ დამთავრების შემთხევაში ინიშნება პენალტების სერია. 5-5 პენალტი; - დაშვებულია ნებისმიერი რაოდენობის შეცვლები. ყველა შეცვლილ მოთამაშეს უფლება აქვს დაბრუნდეს მოედანზე; მწვრთნელს უფლება აქვს თითოეულ ტაიმში აიღოს ერთი წუთშესვენება; - მოთამაშე ჯარიმდება ყველა ამ წესის დარღვევისათვის, აგრეთვე ბლოკირებისათვის და უხეში თამაშისათვის; - მოთამაშე ემორჩილება მსაჯის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი მოიხსნება ტურნირიდან; - ყვითელ და წითელ ბარათს, მოთამაშე მიიღებს იმ შემთხვევაში, როდესაც უხეშად ან სახიფათოდ ითამაშებს მოწინააღმდეგესთან. ასევე მსაჯთან შელაპარაკება ისჯება წითელი ბარათით; - გაგდებულ მოთამაშეს უფლება არ აქვს დაბრუნდეს მოედანზე; - მოთამაშის გაგდებისას გუნდს უფლება არ აქვს გაგდებული მოთამაშის ნაცვლად სათადარიგო მოთამაშე გამოიყვანოს მოედანზე. 2 წუთი; - გაშვებული გოლის შემდეგ გუნდი თამაშს იწყებს ცენტრიდან; - როდესაც ბურთი გადაკვეთს აუტის ხაზს / მოხვდება ჯებირს. ბურთის მოწოდება ხდება გადასვლის ადგილის ხაზიდან.

მსაჯობა - ტურნირს მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

- ტურნირი გაიმართება ოლიმპიური სისტემით.
- ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები ითამაშებენ III ადგილისათვის, ხოლო გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებსა და სიგელებს.
- საპრიზო ადგილზე გასული გუნდებისათვის ასევე გათვალისწინებულია ფულადი პრიზები

ტურნირის ჩატარების წესები: ტურნირი ჩატარდება მინი ფეხბურთის საერთაშორისო წესების შესაბამისად

დანართი 6.11

- **ფრენბურთის შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღების პირობები: საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარმოადგინოს არაუმეტეს 2 გუნდი, თითოეულ გუნდში - არანაკლებ 6 და არაუმეტეს 12 მონაწილის კანდიდატურა.

ტურნირის ჩატარების პრინციპი:

- შეჯიბრება ჩატარდება გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის,
- ტურნირი ჩატარდება ოლიმპიური სისტემით. ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები ითამაშებენ III ადგილისათვის, ხოლო გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში.

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებსა და სიგელებს.
- საპრიზო ადგილზე გასული გუნდებისათვის (ცალ-ცალკე) ასევე გათვალისწინებულია ფულადი პრიზები

ტურნირის ჩატარების წესები: ტურნირი ჩატარდება ფრენბურთის საერთაშორისო წესების შესაბამისად -

დანართი N6.12

- **ბოულინგის შეჯიბრებების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღების პირობები: თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარმოადგინოს გუნდი 4 მონაწილის შემადგენლობით (2 გოგონა და 2 ვაჟი).

ტურნირის ჩატარების პრინციპი:

- შეჯიბრება ჩატარდება შერეულ გუნდებს შორის
- ტურნირი ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, 4 ეტაპად, 6 ბილიკზე
- შეჯიბრება გუნდურია; ყოველი წრის დაწყებამდე იქნება საცდელი პერიოდი. ერთი გეიმი შედგება 10 ჩარჩოსაგან (Frame), სადაც იმ ქულების რაოდენობა იწერება, რამდენ კეგლსაც წააქცევს მოთამაშე.
- თამაშის მთავარი პრინციპი მაქსიმალური ქულების დაგროვებაა. იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშემ ერთი გაგორებით 10-ვე კეგლი წააქცია, მაშინ ეს შტიკე-ია და გუნდს ემატება 10 ქულა, პლიუს იმ ქულის რაოდენობა, რამდენსაც შემდეგი 2 გაგორებით აიღებს გუნდი.
- თუ მოთამაშემ 2 გაგორებით წაქცია 10-ვე კეგლი, მაშინ ეს შპარე-ია და გუნდს ემატება 10 ქულა, პლიუს მომდევნო ერთი გაგორებით მოგროვილი ქულა. სტრაიკი ანგარიშის ტაბლოზე აღინიშნება X-ით (იქსით), ხოლო შპარე /-ით (დახრილი ხაზით).

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებსა და სიგელებს
- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენებისათვის (გოგონები/ვაჟები ცალ-ცალკე) ასევე გათვალისწინებულია ფულადი პრიზები

ტურნირის ჩატარების წესები: ტურნირი ჩატარდება ბოულინგის საერთაშორისო წესების შესაბამისად

დანართი N6.13

- **პადელის შეჯიბრების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღება: თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია განაცხადში შეიყვანოს 1 წყვილი (1 გოგონა , 1 ვაჟი)

ტურნირის ჩატარების პრინციპი და წესი:

- პადელის ყველა თამაში წყვილთა ფორმატში იმართება.
- პადელის თამაშის დროს ქულების მინიჭების იგივე სისტემა გამოიყენება, როგორც ჩოგბურთში.
- ქულის დაკარგვა:

➔ ბურთი ორჯერ დახტება კორტის თქვენს მხარეს.

➔ თამაშის დროს ბურთი მოგხვდებათ თქვენ ან თქვენს თანაგუნდელს.

➔ ბურთი მოხვდება ბადეს, ძელებს ან სხვა რაიმე საგანს, მანამ, ვიდრე ბურთი არ გადაკვეთს ბადეს და დაეშვება მოწინააღმდეგის მოედანზე.

➔ ბურთი საზღვრების გარეთ ითვლება და ქულა ეძლევა მოწინააღმდეგე მოთამაშეებს, თუ ბურთი მოხვდება ბადეს ან კედლებს, სანამ იგი მოწინააღმდეგის კორტის მხარეს გადავა.

დაჯილდოება: საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებსა და სიგელებს, ასევე ფულად პრიზებს.

დანართი N6.14

- **დარტსის შეჯიბრების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღება:

- შეჯიბრება გოგონათა და ვაჟთა შორის (ინდივიდუალურად).
- თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია განაცხადში შეიყვანოს 3 ვაჟი და 3 გოგონა.

ტურნირის ჩატარების პრინციპი და წესი:

- თითოეული მოთამაშე ისვრის 3 დარტს.
- მონაწილის მიზანია აიღოს უმაღლესი ქულა
- სროლები წარიმართება (სამოყვარულო 10 ქულიან დარტსზე)

დაჯილდოება: საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებსა და სიგელებს.

დანართი N6.15

- **კლდეზე ცოცვის შეჯიბრების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღება:

- შეჯიბრება გოგონათა და ვაჟთა შორის (ინდივიდუალურად).

- თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია განაცხადში შეიყვანოს 1 ვაჟი და 1 გოგონა.

ტურნირის ჩატარების პრინციპი და წესი:

- ტურნირი ჩატარდება საერთაშორისო წესების შესაბამისად
- მონაწილეები შეეჯიბრებიან ასაცოცებელი მანძილის მაქსიმალურად სწრაფად დაფარვაში

დაჯილდოება: საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებსა და სიგელებს.

დანართი N6.16

- **კიბერ სპორტის ჩემპიონატის გამართვის წესები და პირობები**

კიბერ სპორტის ტურნირები ჩატარდება ფეხბურთში (fifa 2025)

ტურნირში მონაწილეობის მიღება:

- შეჯიბრება ჩატარდება
- თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია 1 მონაწილის წარდგენა.

ტურნირის ჩატარების პრინციპი და წესი:

ტურნირი ჩატარდება ოლიმპიური სისტემით.

დაჯილდოება: საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების თითოეული წევრი მიიღებს შესაბამისი ხარისხის მედლებსა და სიგელებს. საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენებისათვის ასევე გათვალისწინებულია ფულადი პრიზები.

დანართი N6.17

- **ბილიარდის შეჯიბრების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღება:

- შეჯიბრება ჩატარდება გოგონათა და ვაჟთა შორის (ინდივიდუალურად).
- თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია განაცხადში შეიყვანოს 2 ვაჟი და 2 გოგონა.

ტურნირის ჩატარების პრინციპი და წესი: ტურნირი ჩატარდება საერთაშორისო წესების შესაბამისად პულში, ოლიმპიური სისტემით, 2 პარტიის მოგებამდე

დაჯილდოება: საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებსა და სიგელებს.

დანართი N6.18

- **მკლავჭიდის შეჯიბრების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღება:

- შეჯიბრება ჩატარდება ვაჟთა შორის 60, 70, 80, 90, 100, 100+ კგ. წონით კატეგორიებში.
- თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია, განაცხადში შეიყვანოს არაუმეტეს 12 სპორტსმენი.
- მარჯვენა ხელი - 6 წონითი კატეგორია უნივერსიტეტიდან 1 სპორტსმენი
- მარცხენა ხელი - 6 წონითი კატეგორია უნივერსიტეტიდან 1 სპორტსმენი

ტურნირის ჩატარების პრინციპი და წესი:

- შეჯიბრება ჩატარდება მკლავჭიდის საერთაშორისო წესების შესაბამისად

- შეჯიბრება ვალდებულია დაიცვას ორგანიზატორის მიერ დადგენილი წესები და სპორტული ეთიკა.
- თითოეული მატჩი ტარდება ოფიციალურ მკლავჭიდის მაგიდაზე.
- შეჯიბრება ჩატარდება ოლიმპიური სისტემით მარცხის შემთხვევაში სპორტსმენი ტოვებს შეჯიბრს
- თითოეული შეხვედრა შედგება ერთიდან სამ მოგებამდე (ორგანიზატორის გადაწყვეტილებით).

დანართი N6.19

- **ძიუდოს შეჯიბრების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღება:

- შეჯიბრება ჩატარდება ვაჟთა შორის 60, 66, 73, 81, 90, 100, + 100 კგ წონით კატეგორიებში.
- თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია, განაცხადში შეიყვანოს არაუმეტეს 14 სპორტსმენისა (ერთ წონით კატეგორიაში არაუმეტეს 2 სპორტსმენი).

ტურნირის ჩატარების პრინციპი და წესი: ძიუდოს საერთაშორისო წესების შესაბამისად (წონაში დაშვება 2 კგ.)

დაჯილდოება: საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები (მათ შორის 2 მესამე ადგილი) მიიღებენ შესაბამისი ხარისხის სიგელებსა და მედლებს.

დანართი N6.20

- **სასტენდო სროლის შეჯიბრების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღება:

- შეჯიბრება ჩატარდება გოგონათა და ვაჟთა შორის (ინდივიდუალურად).

● თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია განაცხადში შეიყვანოს 1 ვაჟი და 1 გოგონა.

ტურნირის ჩატარების პრინციპი და წესი:

. ტურნირი ჩატარდება ინდივიდუალური შედეგის შესაბამისად.
. მონაწილეები შეეჯიბრებიან სასტენდო თეფშების გატეხვის რაოდენობაში.
. მონაწილეს აქვს 10 გასროლის შესაძლებლობა.
. სროლის დაწყებამდე, პირმა უნდა შეისწავლოს კომპლექსის ტერიტორიაზე ყოფნის დასაცავი უსაფრთხოების ზომები და ქცევის წესები.
. მსროლელს, რომელიც ნარკოტიკული ან ალკოჰოლური ინტოკსიკაციის მდგომარეობაში იმყოფება, სროლის უფლება არ აქვს.
. შესაბამისი ნებართვის გარეშე იარაღის გამოყენება დაუშვებელია.
. დაუშვებელია სროლის მიმართულების ზონაში ხალხის ყოფნა. სროლის მიმართუელების ზონაში ხალხის მოულოდნელად აღმოჩენისას, ყველა მსროლელმა სროლა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს დამოუკიდებლად ან ინსტრუქტორის ბრძანებით, „შეწყვიტე სროლა!“ „განმუხტე!“.
. იარაღის დამუხტვა და განმუხტვა დასაშვებია მხოლოდ საცეცხლე ხაზზე დგომისას, ინსტრუქტორის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და მხოლოდ მისი ბრძანებით. საცეცხლე პოზიციის გარეთ, იარაღი უნდა იყოს განმუხტულ მდგომარეობაში.

დაჯილდოება: საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებსა და სიგელებს.

●

დანართი N6.21

- **ქართული ჭიდაობის შეჯიბრების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღება:

- შეჯიბრება ჩატარდება ვაჟთა შორის 60კგ, 66კგ, 73კგ, 81კგ, 90კგ , 100 კგ, +100კგ. წონით კატეგორიებში.
- თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია, განაცხადში შეიყვანოს არაუმეტეს 14 სპორტსმენისა (ერთ წონით კატეგორიაში არაუმეტეს 2 სპორტსმენი).

ტურნირის ჩატარების პრინციპი და წესი: ტურნირი ჩატარდება ქართული ჭიდაობის შეჯიბრების არსებული წესების შესაბამისად (წონაში დაშვება 2 კგ.).

დაჯილდოება: საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები (მათ შორის 2 მესამე ადგილი) მიიღებენ შესაბამისი ხარისხის სიგელებსა და მედლებს.

დანართი N6.22

- **ნარდის შეჯიბრების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღება:

- შეჯიბრება ჩატარდება გოგონათა და ვაჟთა შორის (ინდივიდუალურად).
- თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია განაცხადში შეიყვანოს 2 ვაჟი და 2 გოგონა.

ტურნირის ჩატარების პრინციპი: ოლიმპიური სისტემა, 2 პარტიის მოგებამდე.

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის ისგელებს, მედლებსა დათასებს.
- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენებისათვის (გოგონები/ვაჟები ცალ-ცალკე) ასევე გათვალისწინებულია ფულადი პრიზები.

ტურნირის ჩატარების წესები: შეჯიბრება ჩატარდება **ნარდის საერთაშორისო წესების** მიხედვით.

- **შაშის შეჯიბრების გამართვის წესები და პირობები**

ტურნირში მონაწილეობის მიღება:

- შეჯიბრება ჩატარდება გოგონათა და ვაჟთა შორის (ინდივიდუალურად) 64 უჯრიან შაშში.
- თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია განაცხადში შეიყვანოს 2 ვაჟი და 2 გოგონა.

ტურნირის ჩატარების პრინციპი: ოლიმპიური სისტემა, 2 პარტიის მოგებამდე.

დაჯილდოება:

- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის სიგელებს, მედლებსა დათასებს.
- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენებისათვის (გოგონები/ვაჟები ცალ-ცალკე) ასევე გათვალისწინებულია ფულადი პრიზები.

ტურნირის ჩატარების წესები: შეჯიბრება ჩატარდება **ნარდის საერთაშორისო წესების** მიხედვით.